



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის მაია დავითიანის და იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 28 მაისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N13);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა წინამდებარე წესი. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, სენატის გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი ვერსიის დამტკიცების შემთხვევაში.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, შემოკლებები, განმარტებები	5
4. ზოგადი დებულება	6
5. შეფასების ორგანიზების პრინციპები. სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურება (განმეორებითი შეფასება) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება	6
6. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა	7
7. შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული ფორმალური მოთხოვნები და სტრუქტურა	8
8. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა	8
9. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია	8
10. შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა	9
11. შეფასების პროცესში ქცევის ზოგადი წესები	9
12. გამოკითხვის ზეპირი ფორმით ან პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების გზით შეფასების განხორციელების სტანდარული პროცედურა	10
13. დაკვირვების გარეშე პრაქტიკული დავალების შესრულება	10
14. აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა ან ტრანსლირება შეფასების პროცესში	10
15. შეფასების მტკიცებულების მოპოვება და შენახვა	11
16. შეფასების გაფორმება	11
17. შეფასების შედეგების გაცნობა	11
18. შეფასების შედეგების გასაჩივრება (აპელაცია)	11
19. მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესები, ვალიდაცია	12
20. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები	13
21. რისკების სისტემა	13
22. ვერიფიკაციის პროცესი	13
23. პერიოდული შემოწმების ფურცელი	15
24. კვალიფიკაციის მინიჭების წესი და დიპლომის გაცემა	16
25. გაცნობის ფურცელი	17
26. შეთანხმების ფურცელი	19



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე წესი განსაზღვრავს ბუხსს ანრის პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების შეფასების პროცედურას.
- 2) წინამდებარე წესი არის პროფესიული განათლების დეპარტამენტის ნორმატიული დოკუმენტი;
- 3) დოკუმენტის აღრიცხული ვერსია ინახებაპს შპს ბუხსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში მყარი და ელ. ვერსიით; ელექტრონული ვერსია გასაჯაროებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებ-გვერდზე.
- 4) დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე დოკუმენტის შემზავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნები:

- 1) ISO 9001:2015 - ხარისხის მართვის სისტემა. მოთხოვნები;
- 2) ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- 4) საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
- 5) პსდ-ს ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები;
- 6) ნდ №2-010101 - წესდება;
- 7) ნდ N2-020101 –ხარისხის სახელმძღვანელო;
- 8) ნდ 2-0201-01- „დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

3.1 ტერმინები, განმარტებები

- 1) **პროფესიული სწავლება** (განათლება) - მე-III დონის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად სწავლება (განათლების მიღება)
- 2) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;
- 3) **პროგრამის კომპონენტი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, მოდული;
სწავლის შედეგები – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები;
შემფასებელი - კომპეტენტური პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც დადგენილი წესით აფასებს პირის მიერ სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას.
- 4) **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- 5) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად; ერთი კრედიტი (ECTS) - უტოლდება 25 საათს;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

- 6) **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა).
- 7) **შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ);
- 8) **შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია განმავითარებელი შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება
- 9) **შიდა ნორმატიულ დოკუმენტი** - შიდა მარეგულირებელი აქტი

3.2 შემოკლებები

- 1) **ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- 2) **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- 3) **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
- 4) **პსდ** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება
- 5) **ხარისხის სამსახური** - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და განმსაზღვრელი შეფასება

4. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი ადგენს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში- პროგრამა) ცალკეული კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების მიღების მიზნით, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის, ასევე შეფასების შედეგების გამოყენების წესებს და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს.

5. შეფასების ორგანიზების პრინციპები. სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურება (განმეორებითი შეფასება) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი არ/ვერ დადასტურდა.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულების წინაპირობას და პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგი, იგი ვალდებულია 2 სასწავლო კვირის განმავლობაში დაადასტუროს მოცემული მოდულის სწავლის შედეგები, წინააღმდეგ შემთხვევაში მომდევნო მოდულებზე არ დაიშვება.

მოდულის დასკვნითი შედეგების დადასტურება აისახება საბოლოო უწყისში.

სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილია განსაზღვროს განმეორებითი შეფასების დამატებითი ვადები; განმეორებითი შეფასების მიზნებისათვის, შესაძლოა / უნდა შეიცვალოს შეფასების ინსტრუმენტი; განმეორებითი შეფასების მიზნებისათვის შეფასების ინსტრუმენტის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მოდულის განმახორციელებელი პირი, პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობით; პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია განმეორებითი შეფასების დროს გამოიყენოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი, ხოლო პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში შეცვალოს იგი.

საზღვაო სასწავლებელი პროფესიული სტუდენტის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამით მოდულის არ/ვერ დადასტურების შემთხვევაში უფლებას იტოვებს შეუჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და წერილობით აცნობოს მას.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმეორებით გაიაროს დაუდასტურებელი მოდული/მოდულები და თვითდაფინანსების შემთხვევაში გადაიხადოს მოდულის საფასური კრედიტების გაანგარიშების წესის შესაბამისად.

მოდულურ პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება; განმავითარებელი შეფასება მოდულის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით; შეფასების სისტემის გამჭვირვალების უზრუნველსაყოფად, მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შესახებ (დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია) წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს;

შეფასების (ძირითადი და განმეორებითი) განრიგი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება შემდეგი გზებით:

- განრიგი განთავსებულია სასწავლებლის საინფორმაციო დაფაზე;
- პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას ახდენს მოდულის განმახორციელებელი პირი;
- პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას ახდენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

შეფასებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც შეყვანილნი არიან შეფასების უწყისში; შეფასებაზე გამოცხადებით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ის იცნობს შეფასების განხორციელების წესებს; შეფასებაზე დაგვიანება განიხილება გამოუცხადებლობად.

6. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა

შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს); შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას; შესაბამისი ინსტრუმენტის სახეები და შესაქმნელი მტკიცებულებების ფორმა შესაძლოა შეიცვალოს მოდულის განხორციელების პროცესში, რაც მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ინსტრუმენტის გამოყენებამდე თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელთან. შეთანხმების ფაქტი დასტურდება ინსტრუმენტზე პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერით. შეთანხმების პროცესის კოორდინაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

7. შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული ფორმალური მოთხოვნები და სტრუქტურა

- 1) შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ ფორმას; შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულოდ მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:
- 2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
- 3) მოდულის (მოდულების) სახელწოდება და კოდი (კოდები);
- 4) სწავლის შედეგის ნომერი და დასახელება;
- 5) შეფასების მიმართულება;
- 6) შეფასების ხანგრძლივობა. თუ შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ერთზე მეტ შეფასების მიმართულებას, შეფასების ხანგრძლივობა განისაზღვრება თითოეული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე;
- 7) მტკიცებულების სახე;
- 8) შეფასების გარემოს აღწერა;
- 9) შეფასებისათვის საჭირო რესურსი;
- 10) შეფასების ინსტრუქცია. ინსტრუქცია მოიცავს სხვა პირობებს, თუ ის განსხვავდება ზოგადად დადგენილი პირობებისაგან, მაგალითად: სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების უფლებას, ჯგუფური/ინდივიდუალური სამუშაოს, დავალების წარმოდგენის ფორმასა და სხვ.;
- 11) სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები;
- 12) განმეორებითი შეფასების პირობები. აღნიშნულ გრაფაში მიეთითება სწავლის შედეგის განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა, თუ ის განსხვავდება ამ დოკუმენტით ზოგადად დადგენილი წესისაგან. განმეორებითი შეფასების პროცედურული საკითხები დარეგულირებულია წინამდებარე წესით, ხოლო განმეორებითი შეფასების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის სამსახური;
- 13) ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ;
- 14) სხვა სახის ინფორმაცია, ინსტრუმენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

8. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა

შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი; მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს ბუსსს ანრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი; მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს.

9. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია

მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას ადგენს პროფესიული განათლების დეპარტამენტი; ვალიდაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას; მოდულის დარგობრივი სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი პირადად ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების ჩართულობით; ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციას პროფესიული განათლების დეპარტამენტი,



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალიტების ჩართულობით; შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს:

- შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;
- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;
- შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები); დაუშვებელია, შინაარსობრივი ვალიდაციის პროცესში ვალიდატორი იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა ამ ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში; ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა/ვალიდაციის გაუქმება შესაძლებელია:
 - ✓ მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელი პირის/შემფასებლის ინიციატივით;
 - ✓ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით;
 - ✓ პროფესიული განათლების დეპარტამენტის ინიციატივით, პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველით;
 - ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე;
 - ✓ პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების მიზნით დასაშვებია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

10. შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა

პროფესიული განათლების დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და სამართლიანობა; შეფასების პროცესი გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. შეფასების პროცესი შეესაბამება სამართლიანობის მოთხოვნას, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

11. შეფასების პროცესში ქცევის ზოგადი წესები

შეფასებისას დაუშვებელია ქუდით, ყურსასმენით, ხელთათმანით სარგებლობა; შეფასებისას კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება დაიშვება მხოლოდ მოდულის განმახორციელებელი პირის/შემფასებლის გადაწყვეტილებით, შეფასების ინსტრუმენტზე ასეთი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში; დაუშვებელია პორტატული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება კალკულატორად; ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, სხვა სახის პორტატული საკომუნიკაციო საშუალებები, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს; შეფასების მსვლელობისას მოწვევა ან მოსაწვევად გასვლა კატეგორიულად აკრძალულია; შეფასებისას დასაშვებია მხოლოდ წყლის ან გამაგრილებელი სასმელის შეტანა ინდივიდუალურად; შეფასებისას საკვების შეტანა და მოხმარება (მათ შორის საღებავი რეზინის) კატეგორიულად აკრძალულია, გარდა სამედიცინო მიზნებისა, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს შემფასებელს; ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები, გარდა შეფასების პროცესიდან



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

გამეგებისა, იწვევს პროფესიული სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. დისციპლინურ დარღვევად ითვლება:

- ✓ შეფასების ინსტრუმენტების/შეფასების მასალების მოპოვება ან მისი მცდელობა;
- ✓ ნებადართულის გარდა სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
- ✓ შეფასების დროის ამოწურვის შემდეგ, შეფასების ინსტრუმენტზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება;
- ✓ კონსპექტების, ჩანაწერების, წიგნების და სხვა მასალების გამოყენება;
- ✓ სხვა პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;
- ✓ საკუთარი ნაშრომის ან სამუშაო ფურცლის ჩვენება ან გადაწოდება სხვა პროფესიული სტუდენტისათვის ან ასეთი მოქმედების ხელშეწყობა;
- ✓ საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება;
- ✓ სხვა პროფესიული სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;
- ✓ შეფასების პერიოდში სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა დარბაზის გარეთ;
- ✓ ნებისმიერი ფორმით შეფასების საკითხების გადაწერა, გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა;
- ✓ სხვა პირის ნაცვლად შეფასების პროცესში მონაწილეობა;
- ✓ შემფასებლის მითითებების შეუსრულებლობა, მითითებების გაპროტესტება შეფასების მსვლელობისას ან შემფასებლის შეურაცხყოფა;
- ✓ შეფასების ინსტრუმენტზე ყალბი ინფორმაციის მითითება;
- ✓ კომპიუტერის გამოყენება სხვა მიზნებისათვის, გარდა შეფასების პროცესის განხორციელებისა, აგრეთვე მისი თვითნებურად გამორთვა და გადატვირთვა ან სხვა ოპერაციების შესრულება.
- ✓ შეფასებისას ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, შეფასების მიმდინარეობის დროს, შემფასებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუყოვნებლივ დაატოვებინოს საგამოცდო სივრცე და არსებობის შემთხვევაში, შეინახოს წესების დარღვევის მტკიცებულებები შეფასების პროცესის დასრულებამდე. ამ მოქმედებათა განხორციელება ხელს არ უნდა უშლიდეს შეფასების მიმდინარეობისას სიმშვიდის შენარჩუნებას.

12. გამოკითხვის ზეპირი ფორმით ან პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების გზით შეფასების განხორციელების სტანდარული პროცედურა

თუ არ ხორციელდება გამოკითხვის პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერა, შეფასების პროცესს მოდულის განმახორციელებელი პირის გარდა სავალდებულო წესით უნდა ესწრებოდეს სხვა პირი, რომელიც არ მონაწილეობდა მოდულის განხორციელებაში; შეფასების ჩატარებისას, სხვა პირის დასწრების მიზანია შეფასების განმჭვირვალეობისა და სამართლიანობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

13. დაკვირვების გარეშე პრაქტიკული დავალების შესრულება

შეფასების მიზნით პრაქტიკული დავალების შესრულება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის ან პირთა ჯგუფის მიერ დამოუკიდებლად, შეფასების ინსტრუმენტით დადგენილი პირობებითა და წესით.

14. აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა ან ტრანსლირება შეფასების პროცესში

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პროცესის აუდიო ან ვიდეო ჩაწერა ან პირდაპირი ტრანსლირება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის თანხმობით; აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას, რომელიც შეიცავს პროფესიული სტუდენტის პერსონალურ მონაცემებს და მისი განკარგვა ხდება კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

15. შეფასების მტკიცებულების მოპოვება და შენახვა

შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; 2. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ციფრული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულში მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, ფოტო და ვიდეო მასალა, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება და ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; თითოეულ პროფესიულ სტუდენტს უნდა გააჩნდეს პორთფოლიო, სადაც შეინახება პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული და შეფასებული შეფასების ინსტრუმენტი. ხოლო თავის მხრივ პორტფოლიოები ინახება სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით;

შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება სასწავლებლის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით.

16. შეფასების გაფორმება

შემფასებელს პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები გადააქვს შეფასების ინსტრუმენტის სატიტულო გვერდზე და ხელს აწერს პროფესიულ სტუდენტთან ერთად საამისოდ განკუთვნილ გრაფაში; თუ შეფასების მიმართულებას წარმოადგენს ზეპირი გამოკითხვა ან პროცესზე დაკვირვება, შეფასების ფურცელზე შემფასებელთან ერთად ხელს აწერს პროფესიული სტუდენტი და დამკვირვებელი/დამკვირვებლები; პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; შეფასების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პროფესიული განათლების დეპარტამენტში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა სასწავლებელს არქივს და ინახება უვადოდ.

17. შეფასების შედეგების გაცნობა

შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება შეფასების დღეს ან შეფასების განხორციელებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, შეფასების მიმართულებისა და თავისებურების გათვალისწინებით; შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მოდულის განმახორციელებელი პირის ან სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, პერსონალური მონაცემების დაცვით; დაუშვებელია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოცხადება ჯგუფში, თუ აღნიშნული არ არის შეთანხმებული პროფესიულ სტუდენტებთან; პროფესიულ სტუდენტთა მიერ შეფასების შედეგების ჯგუფში გაცნობაზე მიღებული თანხმობის მიუხედავად, დაუშვებელია იმ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოცხადება, რომლებიც შეფასების შედეგების გამოცხადების დროს არ იმყოფებიან ჯგუფში. ასეთ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად

18. შეფასების შედეგების გასაჩივრება (აპელაცია)

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პერიოდული შეფასების შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საჩივრით მიმართოს პროფესიული განათლების დეპარტამენტს და მოითხოვოს მიღებული შეფასების გადახედვა. პროტესტი შეიძლება წარდგენილ იქნას, როგორც სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებაში წერილობით, ასევე შეიძლება გაგზავნილ იქნას სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@mtc-anri.edu.ge. საჩივარი განიხილება



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში პროგრამის ხელმძღვანელის/სპეციალისტის მიერ ან დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით კომისიური წესით. საჩივრის განხილველ კომისიაში უნდა შედიოდეს პროგრამის ხელმძღვანელი, იმ სასწავლო კურსის პროფესიული მასწავლებელი, რომლის შეფასების გასაჩივრებაც მოხდა და პროფესიული განათლების დეპარტამენტიდან შესაბამისი დარგის სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომისიური წესით საჩივრის განხილვისას აგრეთვე მოიწვევა საჩივრის ავტორი პროფესიული სტუდენტი. იმ შემთხვევაში თუკი საჩივართან დაკავშირებით მიღებული იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს გენერალურ დირექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.

- ✓ სტუდენტს შეუფერხებლად მიეცემა ნაშრომის (ოქმის) დედანში გაცნობის უფლება;
- ✓ პროტესტში უნდა მიეთითოს კონკრეტულად, თუ შედეგის რა ნაწილს აპროტესტებს სტუდენტი. პროტესტი უნდა იყოს დასაბუთებული. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
- ✓ პროტესტი, ისევე, როგორც საკუთრივ ნაშრომი (წერილობითი გამოცდის შემთხვევაში), სასწავლო კურსის განმახორციელებელს გადაეცემა დაშიფრული სახით.
- ✓ საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი კვირისა, საჩივრის განხილვა ხდება დეპარტამენტის უფროსის მიერ შესაბამისი მოდულის განმახორციელებელთან ერთად. მოდულის განმახორციელებლის მოწვევა არ არის საჭირო, თუ შეცდომა მდგომარეობს ცალკეული კომპონენტების შეფასებათა დაჯამებაში. თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის პრეტენზია ცალსახად საფუძვლიანია, მოხდება შეფასების გასწორება..

19. მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესები, ვალიდაცია

შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია:

- ვალიდურობა;
- სანდოობა;
- გამჭვირვალობა;
- სამართლიანობა;
- ობიექტურობა

შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით; შეფასების სისტემის ვალიდურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების ინსტრუმენტი, რისთვისაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა შინაარსობრივი კუთხით; შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით; შეფასების სისტემის სანდოობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების მტკიცებულება, რისთვისაც ხორციელდება მათი შესწავლა შინაარსობრივი კუთხით; შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის; შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული; შეფასების სისტემის გამჭვირვალობის და სამართლიანობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლის (პირობების ნაწილში), პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუების ან/და შეფასების პროცესზე დასწრების გზით; შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული; შეფასების სისტემის ობიექტურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლის გზით.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

20. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები

- 1) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.
- 2) **ვერიფიკაცია** წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგების/მტკიცებულებების თავსებადობა-შესაბამისობისა და ავთენტურობის დადგენის აღიარების მექანიზმს (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების პროცესი რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული – გადაწყვეტილებები-ზუსტი. ვერიფიკაცია არის ორგანიზაციის შიდა და გარე.
შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონდე ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან სხვა მასწავლებელი.
გარე შემოწმება (ვერიფიკაცია) არის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გამოიყენება იმის დამადასტურებლად, რომ ყოველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ნერგავს პროფესიულ მოდულებს, შეფასებას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული მოდულების სპეციფიკაციის მიხედვით. გარე შემოწმებლის (ვერიფიკატორის) ფუნქციას შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცედურების შეფასება.
- 3) **ვერიფიკაციის მექანიზმი** მოიცავს შემდეგ საკითხებს:
 - ✓ შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
 - ✓ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
 - ✓ ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
 - ✓ ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).
- 4) **ვერიფიკაციის მიმართულებებია:**
 - ✓ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
 - ✓ შეფასების პროცესის ვერიფიკაცია
 - ✓ შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

21. რისკების სისტემა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს, კერძოდ: დაწყებული პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით); პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა და სხვა.

რისკების რეესტრში ასახული გარემოებები ყველა არის რისკ-ფაქტორი, უბრალოდ მათ შორისაც არსებობს განსხვავებები. არის რაღაც გარემოება, მაღალი რისკის მქონე ან საშუალო რისკის მქონე და ა.შ. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

22. ვერიფიკაციის პროცესი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად; ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

ფორმები; განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი ან საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფი; ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება; ვერიფიკატორის/ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესში; ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევითი პრინციპით; ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ვერიფიკაციისას შეიძლება ერთიდაიგივე შეფასების ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტი. თუ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების რაოდენობა არ აღემატება 10-ს, მაშინ ვერიფიკაციას ექვემდებარება ყველა ინსტრუმენტი/მტკიცებულება; ვერიფიკაციის დასკვნის პროექტი, რომელიც მოიცავს აღმოჩენებსა და რეკომენდაციებს ეგზავნება სასწავლო პროცესის მენეჯერს.

ჯგუფი ვალდებულია წელიწადში ერთჯერ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები;

დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას დაწესებულებაში სასწავლო პროცესის/პროგრამების/მოდულების გაუმჯობესების მიზნით;

ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

23. კვალიფიკაციის მინიჭების წესი და დიპლომის გაცემა

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პრეროგატივას.

- 1) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი.
- 2) ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შემთხვევაში - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი,
- 3) მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ - ცნობა.
- 4) კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
 - ა) პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
 - გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
 - დ) პროგრამაში მონაწილე სპეციალისტის პროფესიული მასწავლებელი.
- 5) საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებული აქვთ შესაბამისი დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

- 6) გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, საკვალიფიკაციო კომისიის ინფორმაციის საფუძველზე, დებულობს შპს ბუსსს ანრის სენატი, რის საფუძველზეც, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით შპს ბუსსს ანრის რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული დიპლომის შესაბამისი დანართით გაცემის თაობაზე.
- 7) გაცემული დიპლომების შესახებ მონაცემები გადაიგზავნება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, ხოლო დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება სასწავლებელში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.
- 8) გასაცემი პროფესიული დიპლომის ფორმა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 მაისი, ბრძანება N99/ნ პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - პროფესიული დიპლომისა დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ.
- 9) ბუსსს ანრის დიპლომების დასამზადებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ლოგიკა“-სთან, რომელიც ამზადებს დიპლომებს ყველა კრიტერიუმის სრული დაცვით.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student

24. გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ირაკლი ბეჟნიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
2	ფირუზა ვარშანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
3	ბადრი გიორგაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
4	აკაკი ესენჯია	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
5	მირანდა ჭინკაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
6	ნანა მალაყმაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
7	ნათელა დუმბაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
8	ბადრი ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
9	რეზო ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
10	თემურაზ შამილაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
11	ამირან ფუტყარაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
12	თამარ გუჩმაიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
13	დარეჯან ასამბაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
14	ანზორ შარაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
15	გიორგი უღრელიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
16	მაია დავითიანი	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
17	გენადი შერვაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
18	ნინო ჯაყელი	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
19	ფადიკო აბუსელიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	
20	დავით ჩხეიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	26.11.2021	21.11.2021	



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student**

25. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

**პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
The rule of evaluation of learning outcomes achieved by a vocational student**

ნდ N-2-0401-18

1.2 შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი გურამ ქათამაძე
იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \
 _____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შენიშვნა
1	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე			
2	ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე			
3	სასწავლო პროცესის მენეჯერი მაია დავითიანი			

დოკუმენტი შესათანხმებლად გააგზავნა

_____ ხელმოწერა

_____ სახელი, გვარი

_____ თარიღი